წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქ. მისამ.: სასიონ. ქ. № 30.
პირველი სართული.

ხუთშაბ. 12 ოქტომბერი. 1922 წ.

№ 116 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 116

განცხადება

დღეს 12 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე

ქართ. მ. დივიზიის წით. არმიელთა ცენტრალურ-კლუბის შენობაში შესდგება

საერთო კრება

პარტიის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა, რომლებიც მუშაობენ ქართ. ჯარის ზურგის ნაწილებში.

კრებაზე დასწრება ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა.

ს. ნ. ბიურო კოლექტივის

მდივანი: ა. სიკინჭალაშვილი.

კონსტანტინოპოლის საკითხი.

კონსტანტინოპოლის საკითხის გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს, მის გადაჭრაში, გარდა საერთოდ ბურჟუაზიისა, მეტად დაინტერესებულია საბჭოთა რესპუბლიკები. ამისათვის საბჭ. რუსეთის გარეშე საქმ. სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. კარახანმა და ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედერაციის საკავშირო საბჭომ, ანტანტის სახელმწიფოებს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა და მოითხოვა, რომ კონსტანტინოპოლის საკითხის გარჩევაში უეჭველად იყვნენ მოწვეულნი საბჭ. რუსეთის, უკრაინის და საქართველოს წარმომადგენელნი. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი დადგენილებანი აღნიშნული საკითხის შესახებ არ იქნება სავალდებულო საბჭ. რესპუბლიკებისათვის.

ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობამაც მოითხოვა, რომ კონსტანტინოპოლის საკითხის გარჩევაში აუცილებლათ მოწვეულ იქნენ საბჭ. რუსეთი, უკრაინა და საქართველო.

ევროპის ბურჟუაზია, ასეთი ხასიათის მოთხოვნილებათა შესახებ მეტად მწყრალ ხასიათზე იდგა, მაგრამ, ბოლოს დიდი აწონ-დაწონის შემდეგ საფრანგეთის ბურჟუაზიულ პრესაში აშკარათ აღიარეს, რომ საბჭოთა რუსეთი, უკრაინა და საქართველო შესაძლებელია, რომ დაშვებულ იყვნენ სათათბირო ხმით ერთა ლიგაში კონსტანტინოპოლის საკითხის გარჩევის დროს.

ამგვარივე აზრის არის ინგლისის ბურჟუაზიული პრესა.

ამერიკის ბურჟუაზია, რომელიც აქამდე განზე იდგა და თითქოს მონაწილეობას არ ღებულობდა ევროპის საკითხის მოგვარებაში, ეხლა კონსტანტინოპოლის და მის მახლობელ სრუტეების გარჩევის დროს, როგორც მისი პრესიდან სჩანს, სურს დაარღვიოს თავისი განდგომილობა და მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

როგორც ერთ წინანდელ წერილში აღვნიშნავდით, კონსტანტინოპოლის საკითხის გადაწყვეტა არის ამავ დროს პრაქტიკული მოგვარება საერთოდ ზღვათა და მისი სრუტეებით სარგებლობისა. ერთა-ლიგის სხდომაზე, სადაც დაიწყება კონსტანტინეპოლის საკითხის გარჩევა, წამოიჭრება საერთაშორისო ურთიერთობის დამყარების საკითხი. ამ კითხვის გადაწყვეტა არსებულ მდგომარეობაში სრულიად შეუძლებელია და ჩვენ ვსდგევართ საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტის წინაშე.

საბჭოთა რუსეთის უკრაინის და საქართველოს მოწვევა, თუნდ სათათბირო ხმით, არის ამავ დროს ფაქტიური აღიარება მათი მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ. ამერიკის პრესის ცნობით საბჭოთა სახელმწიფოთა ამერიკის მიერ ცნობა, დღის წესრიგშია.

მსოფლიო ბურჟუაზია დიდხანს განაგრძო ყოველგვარი საშუალებით ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, მაგრამ რადგან ისტორიული გამართლება საბჭოთა სახელმწიფოების მხარეზე იყო, ამისათვის ბოლოს იძულებული შეიქმნა ფაქტიური კავშირი დაემყარებინა მათთან.

საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა დღითი დღე მტკიცდება, მხოლოდ გვმართებს მის მოქალაქეებს განსაკუთრებული საქმიანი მუშაობა, მის ეკონომიკის აყვავება-გაძლიერებაში.

დღევანდელი ცნობები

სამშვიდობო კონფერენცია გადაწყვეტილია მოიწვიონ 1-ლ ნოემბრისათვის.

ინდოეთში რევოლიუციონური მოძრაობა გრძელდება.

გერმანიაში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა ფართოვდება.

იტალიაში ფაშისტები მოითხოვენ პალატის დათხოვნას და ხელ-ახალი არჩევნების მოხდენას.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

მუდანის კონფერენცია.

მუდანიაში სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. ოსმალეთის დელეგატები მოითხოვენ ინგლისის ჯარების მიერ აღმოსავლეთ თრაკიის სასწრაფო ოკუპაციას. თათბირი გადაიდო განუსაზღვრელ ვადამდე. მოსალოდნელია სრული განხეთქილება. მდგომარეობა რთულია, ვინაიდან ოსმალეთის მოთხოვნილება მეტწილად მიუღებელია. კერზონი გაემგზავრა პარიზში პუანკარესთან სათათბიროდ. მოკავშირეთა გენერლები დაბრუნდნენ სტამბოლში. საფრანგეთში მოლაპარაკების შეწყვეტის პასუხისმგებლობას სდებენ ინგლისს.

გენერალ ჰარინგტონს ეცნობა არ დაბრუნდეს მუდანიაში, სანამ არ მიიღებს ახალ ინსტრუქციებს.

— მუდანიში სხდომაზე ოსმალებმა განაცხადეს, რომ ინგლისს შეუძლია დაეთანხმოს საოკუპაციო ძალების იმ ტერიტორიაზე ყოფნას, რომელიც უნდა გადაეცეს ოსმალეთს.

— ოსმალოები წინადადებას იძლევიან მოკავშირეებმა ოკუპაცია უყონ დასავლეთ თრაკიას.

რუსეთ ოსმალეთის კავშირი.

— „მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავს, რომ ოსმალეთი ეხლა უფრო ძლიერი ბრუნდება ევროპაში, ვინემ წინად, რადგან ის ეხლა იმყოფება მჭიდრო კავშირში რუსეთთან.

მოლაპარაკება.

— ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიას შორის მიღწეულია შეთანხმება ოსმალეთთან შემდეგ მოლაპარაკებათა ბაზის შესახებ. ოსმალეთის ოლქები გადადიან ოსმალეთის ჟანდარმერიის ხელში, ერთი თვის შემდეგ ბერძნების ევაკუაციისა. თრაკიის ოკუპაცია ოსმალების მიერ შესაძლებელია სამშვიდობო ზავის ხელის მოწერის შემდეგ. სამშვიდობო კონფერენცია გადაწყვეტილია მოიწვიონ 1 ნოემბერს.

რუსეთის, უკრაინის და საქართველოს დაშვების შესახებ, შეტანილია წინადადება იმ გვარად, რომ ეს სახელმწიფოები გამორიცხულია სამშვიდობო კონფერენციიდან და დაშვებული იქნებიან მეორე კონფერენციაზე, რომელიც სპეციალურად მოწვეული იქნება სრუტეების საკითხის შესახებ.

თრაკია.

— ინგლისის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ კერზონის პარიზში გამგზავრებას. შესაძლებელია მდგომარეობიდან გამომყვანი როლი შეასრულოს საფრანგეთის წინადადებამ, რომ ერთა-ლიგის მიერ იქნეს სასწრაფოდ მოხდენილი თრაკიის ოკუპაცია.

პრესა ხაზს უსვამს ოსმალეთის მოთხოვნილებათა მიუღებლობას თრაკიის შესახებ. ლონდონის პრესას განსაკუთრებით აღელვებს ბერძნების მზადება, რომელნიც კატეგორიულად უარს აცხადებენ თავისი ჯარების თრაკიიდან გამოყვანის შესახებ.

სხვა და სხვა ამბები

ლატვია

სეიმის არჩევნები.

ლატვიის სეიმის არჩევნები დასრულდა. გამორკვეულია, რომ ბევრმა მუშებმა შეავსეს საარჩევნო სიები, ლატვიის გარდაცვალებულ პროლეტარიატთა ბელადების სახელებით, რომელნიც გახდნენ კონტრევოლიუციის მსხვერპლნი.

საფრანგეთი

საფრანგეთის მემაღაროენი

— საფრანგეთის ჩრდილოეთ ოლქების შახტიორები ემზადებიან 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებისა და შრომის ხელფასის შემცირების წინააღმდეგ საბრძოლველად. თვალსაჩინო ფაქტად ჩაითვლება სხვა და სხვა შახტიორთა ორგანიზაციების გაერთიანება, ერთად მოქმედების მიზნით.

გაფიცვა მარსელში.

დოკის და ნავშირის მაღაროების მუშებმა მარსელში დაადგინეს შეუერთდნენ გაფიცულ მეზღვაურებს.

იტალია

ფაშისტები.

ფაშისტების ლიდერმა, მუსოლინიმ ულტიმატუმით მოითხოვა პალატის დათხოვნა და ხელ ახალი არჩევნების გამოცხადება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ პალატა ძალდატანებით იქნება დათხოვნილი.

კაბინეტი.

— იტალიის პრესა მსჯელობს კაბინეტის მოსალოდნელ გადადგომაზე. ფიქრობენ, რომ ძალა უფლება ფაშისტების ხელში გადავა.

იტალია და ჩეხო სლავია.

— ვენეციაში შანცერის და ბენეშის შეხვედრის დროს მიღწეულია სრული შეთანხმება, ჩეხო-სლოვაკიისა და იტალიის ურთიერთ დამოკიდებულებისა და მათი პოლიტიკის შესახებ, ცენტრალურ ევროპაში.

გერმანია

— გერმანიაში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა ფართოვდება. წამოყენებულია მოთხოვნილება სრულიად გერმანიის ფაბრიკა ქარხნების კონგრესის მოწვევის შესახებ.

შეტაკება დიუსელდორფში.

— დიუსელდორფიდან იტყობინებიან გერმანიის და ბელგიის სამხედრო ნაწილების ახალ შეტაკებების შესახებ, რომლის დროსაც მოუკლავთ გერმანელი გიმნასტი. შეტაკება მომხდარა ობერ-კასსელში.



ჯვაროსანი ოჯახი.

ჩვენს ჩამორჩენილ კუთხეებს
ეტყობა სწავლის ობლობა:
კვლავ უფლობს მათზე, უძლები
ჯვრით გულზე, მავი ობობა.

ქრისტეს სხვა და სხვა მცნებებით
მორწმუნეთ სმენას ატყვევებს:
იწვევს ტაძარში, ღიმილით,
დაპირებებით ატყუებს.

და ეუბნება: „შვილებო!
ნუ აჰყოლიხართ ნურავის;
ილოცეთ ღმერთი, ილოცეთ.
მითხარით: გაწუხებთ თუ რა ვის?

ვიღაც კომუნისტებსა
აღარ უგდებდეთ—გეტყვით—ყურს;
და ჯოჯოხეთი ასცდება
სამოთხის ხილვა ვისაც სურს.

თორემ არავის შერჩება:
განდგომილობა—ეს წარყვნა;
ქვეყანას მოევლინება
დაწვა ულმობი—ღვთის წარღვნა."

ასე აშინებს,—ჯერ კიდევ
ახალ დროებით უცელი.
ამდენი დრამა—ქელეხით
ველარ გაიძლო მეცელი.



მიტინგ-კონცერტი

ოსმალეთის გამარჯვების შესახებ

27 სექტემბერს მე-2-რე ქარ. საარტ. დივიზიონის კლუბში გამართა სურათი: მიტინგ-კონცერტი, რომელზედაც დაესწრო ადგილობრივი მცხოვრებნი ს. მუხროვანისა. სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ყაჯაიშვილმა ოსმალეთ-საბერძნეთის ომის გარშემო, რომელშიც გამოსთქვა ოსმალეთის ნაციონალურ ჯარის გამარჯვება და ჩვენი მათდამი ძმური კავშირი. შემდეგ სიტყვას ამბობს რუსულ ენაზე სამხკომი მარკაროვი, რომელიც მხურვალე ტაშით იქმნა დაჯილდოვებული.

შემდეგ გაიმართა კონცერტი: როგორც წითელ არმიელები ისე დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა, როგორც მოხსენებებით ისე კონცერტითაც.

სამხკორი **შიტაურელი**

საკომენდანტო ათასეულში.

სპოლიტგანმანათლებლო მუშაობას მაინც და მაინც ფართე ხასიათი ვერა აქვს მიღებული, მიზეზი ის არის, რომ გუნდში წ.-არმიელთა რაოდენობა ცოტაა და ამის გამო ყოველი საგანმანათლებლო წრეების დაარსება შეუძლებელი ხდება. ის სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა არმიელები სკოლაში, ეწყობა საერთო გაზეთების კითხვა და მეცადინეობა პოლიტიკური წიგნებიდან. სკოლაში მეცადინეობა წარმატებით სწარმოებს და კარგი ნაყოფიც აქვს. ბევრმა სრულიად უსწავლელმა წ.-არმიელებმა შეისწავლეს წერა-კითხვა, ანგარიში ოთხი მოქმედება და ზოგიც ადრე შეუდგებიან ნაწევრების შესწავლას. იციან აგრეთვე საქართველოს გეოგრაფია. მადლობის ღირსია ამხ. მასწავლებელი **ძიმისტარაშვილი**, რომელიც ენერგიულად ეკიდება საქმეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძლიერ აფერხებს სკოლის მეცადინეობის საჭირო სამოსწავლო ნივთების უქონლობა ამის შესახებ ვაცნობეთ სასკოლო სექციას და ვსთხოვდით ჯერ მხოლოდ რვეულებს და ფანქრებს, მაგრამ პასუხი ორი კვირა გადის და არ მიგვიღია.

ნიკო.

დროა დეზერტირობას ბოლო მოეღოს.

ქართულ ნაწილებში ერთ სამწუხარო შემთხვევას აქვს ადგილი ახალი წვეულებს შეუგნებლათ ეკიდებიან თავის მოვალეობას, ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინაშე. ხშირია შემთხვევა ახალწვეული მიიღებს ტანისამოსს და ორი სამი დღის შემდეგ გაიპარება შინ. მათ არ ესმით, რომ ამით ღალატობენ როგორც რევოლიუციონურ მთავრობას, ისე თავის ამხანაგებს. დროა ბოლო მოეღოს ასეთ მოქმედებას, დროა მეტი ყურადღება მიექცეს, რომ დეზერტირობა იქნეს მოსპობილი. დეზერტირები უნდა სასტიკად ისჯებოდნენ.

წ. არმ. ქრ. მაღრაძე

ახალი კურსანტების მოლოდინში.

სამხედრო პოლიტ-კურსებიდან იგვე ნახევარია რაც მოხდა კურსანტების მესამე გამოშვება. კურსანტები მაშინვე შეუდგნენ თავის მოვალეობის ასრულებას და როგორც ვეტყობით პირნათლად ასრულებენ მას. ეხლა მოველით ახალ კურსანტებს. ამისათვის უახლოესი მნიშვნელობის საკითხია სადგომი ბინების შეკეთება და განთავისუფლება კერძო მობინადრეთაგან ჩვენი შენობისა. ჩვენ იმედი გვაქვს ამ საქმეს მიექცევა საჭირო და სასწრაფო ყურადღება.

(კურსების უფროსი ამხ.) **ჯვარიშვილი** და ყველა თანამშრომლები სიხარულით მოელიან ახალი კურსანტების შეკრებას, რის შემდეგაც გამოცოცხლდება, როგორც კურსები ისე კურსების კომისარიატის მუშაობა.

იმედი გვაქვს ამხ. ჯვარიშვილი არ დაიზოგავს ენერგიას, ხელმძღვანელებს ყველა ღონისძიებით და მეორე გამოშვება კიდევ უფრო მომზადებული გამოვლიან, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების გასამაგრებლად და განსამტკიცებლად.

მ. გაბასონია

პარტიული მუშაობა.

კვირას 8 ოქტომბერს შესდგა ც. ა. კ. 1-ლი ლეგიონის კომუნისტების საერთო კრება. თავმჯდომარეობს სამხკომი ამხ. ენუქიძე. მდივნობს ამხ. ლომიძე. დღის წესრიგში კომპარტიის გენერალური გაწმენდა და სხვა საკითხები. კითხვების შესახებ მომხსენებლათ გამოვიდა ამხ. ენუქიძე ადგილობრივ მსმენელებისგან იყო შეკითხვები და სიტყვებიც. პირველ მოხსენების შემდეგ კომპარტიის გაწმენდის შესახებ ც. ა. კ. ინსტრუქციას კითხულობს ამხ. ლომიძე, როგორც მოხსენება. ეს ინსტრუქცია მიღებულ იქნა სახელმძღვანელოთ. მეორე კითხვის შესახებ დადგენილ იქნა: ვინც თავის მოვალეობას გვერდს აუხვევს და მოდის შეღავათება-განთავისუფლებაზე ილაპარაკებს განთავისუფლებულ იქნას პარტიიდან. მიმდინარე კითხვებში იყო საუბარი პარტიულ დისციპლინაზე და სხვ. რომელთა შესახებ გამოტანილ იქმნა შესაფერი დადგენილებანი.

ევ. ცომაია.

სასურსათო გადასახადის კომპანია.

სულ რამდენია აკრეფილი ოქტომბრის 7-სთვის?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც წრევანდელ სასურსათო გადასახადის შეკრევება წარმოებს, ოქტომბრის 7-თვის ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია 302.483 ფუთი, ანუ 68.1 პროცენტი აღმოსავლეთ საქართველოს ყველა 10 მაზრაზე შეწერილ გადასახადისა.

საგადასახადო მუშაობას სიცხოველე ეტყობა.

უკანასკნელ კვირაში, როგორც სახალხო სასურსათო კომისარიატს ატყობინებენ ადგილებიდან, აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მაზრაში, განსაკუთრებული სიცხოველე დაეტყო საგადასახადო მუშაობას. ყველგან ისეთის სისწრაფით გროვდება სასურსათო გადასახადი, რომ ძნელია იმის თქმა, თუ რომელის მაზრაში უფრო ადრე დამთავრდება გადასახადის აკრება. აღსანიშნავია ბორჩალოს მაზრა, სადაც დღემდე ყველაზე ნაკლები პროცენტი იყო შეკრებილი და სადაც გადასახადის შეგროვება სულ ორი კვირაა რაც დაიწყო. დღეს ამ მაზრაში საგადასახადო მუშაობას დამკვრელი ხასიათი აქვს და უკანასკნელ ცნობების მიხედვით რამდენისამე დღის განმავლობაში ბევრს რაიონში უკვე აკრებილია ოთხი მეხუთედი შეწერილ გადასახადისა.

აკრიბა დასავლეთ საქართველოში დაიწყო.

სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობით ოქტომბრის 5-ს თარიღით წრევანდელ სასურსათო გადასახადის შეგროვება დასავლეთ საქართველოშიც დაიწყო.

კომპანიის მსვლელობა.

ბორჩალოს მაზრა. როგორც სამაზრო სასურსათო კომისარი ატყობინებს სახალხო სასურსათო კომისარიატს, ბაშკიჩეთისა და ლიუქსემბურგის რაიონებში უკვე აკრებილია შეწერილ გადასახადის 80 პროცენტი. წინასწარი ვარაუდით გადასახადის შეგროვება ოქტომბრის 15-სთვის გასრულდება. ყველა სასურსათო მუშაკები გაგზავნილნი არიან ბორჩალოში, სადაც გადასახადის აკრება წარმატებით მიმდინარეობს.

ლეჩხუმის მაზრა. წრევანდელ სასურსათო გადასახადის შეგროვება დაიწყო. ჯერჯერობით შემოვიდა 72 ფუთი ხორბალი და 6 ფუთი სიმინდი.

მეორე სამხსოვლა.

(უფშემ. სიმღერა.)

ჩვენ სარდაფის დარაჯნი ვართ,
წითელ ღვინით გაქლენთილნი
და ბოჩკების ქვეშ წოლით
ნაცემი და დათენთილი.

ვატრიალებთ ხელში ყანწებს,
და ნუნუას ვიცავთ კვრას;
(ვინც გაბედავს მის დაბოქვდას
ვაი იმის ბედისწერას! *)

გოცი.

არ იცის, რომ ამ ამბუნით
იმას მთელის ქარხნოება?

გამოძიება და ფანჯარ:
დამნაშავე თუ ვინ არი?

თორემ მასაც გადასწვდება
დანის წვერი უჩინარი!..

დაშნა.

---

*) თბილმაზრის კომისარიატს ნუ თუ შემოაკლდა ხილვა?

ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორი ვ. ქუთათელაძე.